# სამშობლო

წ. I 1915 წ. — შაბათი 21 აპრილი

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი კიდევ ...

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ... 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 62 — ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — № 62


„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მიჩვევის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“.

---

ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ს ა მ შ ო ბ ლ ო“

### ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

გაზეთი ღირს:

ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი—7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.

ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.

---

18 აპრილს აბასთუმანში მძიმე ავადმყოფობის შემდეგ უდროოთ გამოესალმა წუთისოფელს

## მიტუშა ერისთავი,

რასაც უგულითადესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ განსვენებულის მშობლები სერგო და პაშა ერისთავები, მამიდები განსვენებულისა: ივლინკა, ანეტა და პისტია, ბიძები: ექიმი კოწია, აგათო და კლიმენტი ერისთავები, ბებია—ალექსანდრა იესეს ასული ერისთავისა, ბიცოლა პელაგია გლახუას ასული ერისთავისა, სიძეები: პეტრე ალექსის ძე ქორქოლაძე და ალექსანდრე მიხეილის ძე გრიგოლია. მოსვენების დღე ქ. ქუთაისში ცალკე იქნება გამოცხადებული. პანაშვიდი დღეს, საღამოს 5 საათზე.

---

26 აპრილს ს. კულაშის ჯვარცმის ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის პოდპოლკოვნიკის თავადი

## გიორგი ბესარიონის ძის მიქელაძის

სულის მოსახსენებლათ, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის ჭირისუფალნი. 1—1 170

---

კირილე და ზოსიმე ექვთიმეს ძენი, პრისკილა და ნინა ექვთიმეს ასულნი აბზიანიძეები, ემილია და ოლღა აბზიანიძეებისა, ილია და შვილი მისი ალექსი არსენიშვილები, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველნი უსაყვარლესის მამისას, მეორენი ძვირფასი მამამთილისას, მესამე დაუვიწყარ სიმამრის, ხოლო უკანასკნელი საყვარელ ბაბუასას

## ექვთიმე ნიკოლოზის ძის აბზიანიძისას,

რომლის გამოსვენება და დაკრძალვა დანიშნულია მთავარანგელოზის სასაფლაოს ეკლესიის გალავანში ამა აპრილის 22-ს, დღითი ოთხშაბათს, ნაშუადღევის სამ საათზე. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს ექვს საათზე. ძველი-ლაგირის ქუჩა, საკუთარი სახლი. 2—1 171

---

## ს/ს გოკიელოვის—შ-ბი

ქ უ თ ა ი ს შ ი

**ამით აუწყებს მეაბრეშუმე-მწარმოებლებს,** რომ **გაზეთებში** გამოჩდა ცნობები შესახებ იმისა, რომ **ზოგიერთი თესლის გამყიდველები** სარგებლობენ არეული დროით და გამოაქვთ ბაზარზე ყალბი (ცუდი) თესლი და მას, (რაც ფრიად სამწუხაროა) ათასგვარი საშუალებით—სხვა და სხვა ცნობილი ფირმის თესლის სახელით ასაღებენ ხახლში. ამისათვის გასული წლების მსგავსად წელსაც

## ხ. ხრისტოდულიდის

მაუცილებელ საჭიროდ,ვცანით, რომ თესლის მყიდველნი მეაბრეშუმენი არ მოტყუვდენ და თავიდან აიცდინონ სიყალბე, გავაფრთხილოთ: **დააკვირდით ჩვენს ფირმას**—გარეთ კოლოფს აქვს **იარლიკი ქართული წარწერით** (თეთრ ქაღალდზე) და ასვია **„შტემპელი“**, აწერია **„ს/ს. გოკიელოვის შ—ბი“**, შიგნით კოლოფში თეთრ ბლონდიდან გაკეთებული პატარა ტოპსიკებზე, რომელშიაც კაკალია აზის **„შტემპელი“** რუსულ-ქართული წარწერით **„ხ. ხრისტოდულიდისის“** და **ს/ს გოკიელოვის შ—ბის“**, აქვე დასმულია **ლუქით ბეჭედი**, რომლის სიმთელეს აუცილებლათ ყურადღება უნდა მიექცეს. მიაქციეთ ყურადღება,—რომ კოლოფს ირგვლივ შემოუოვლებული სათანადო მთავრობის ბანდეროლი აუცილებლათ მთელი იყოს. თ.

## თესლის გაყიდვა გძელდება.

---

დაიბეჭდა და იყიდება ქ. **ოცხელის წიგნის მაღაზიაში** (ქუთაისში)

## „Н О В О Е  С Л О В О“

ახალი პირველდაწყებითი სახელმძღვანელო რუსული ენისა, მრავლად დასურათებული, ლექსიური განყოფილებით, რუსული ანბანით, კითხვისა და წერის სავარჯიშო მასალით, შედგენილი ს. ოცხელის მიერ.

თვ. **ფასი ყდით 2 აბაზი.**

---

ელექტრო-თეატრი **„რ ა დ ი უ მ ი.**

**ორშაბათიდან 20, 21 და 22 აპრილს მხოლოთ სამი დღით! არაჩვეულებრივი პროგრამა.**

## I. გარყვნილი დედის ქალი.

კინო-დრამა 4 მოქ. ცნობილი მსახიობ ქალის ცხოვრებიდან; სცენარიუმი კნ. ბებუთოვისა (ა. სუვორინის თეატრის მსახიობი ო. გ. გურიელი). უმთავრეს როლს შეასრულებს გამოჩენილი მსახ. ქალი ნატალია ივანეს ასული ტამარა. მონაწილეობენ პეტროგრადის გამოჩენილი მსახიობნი: ი. მაჟესი, ცნობილი მსახიობი ქალი ს. ჩარუსსკაია, ოპერეტის მსახ. ქალი ი. ი. დიმიტრიევსკისა და სხ. ამ სურათის შესახებ საქები ცნობა მოათავსეს შემდეგმა გაზეთებმა: „Бирж. Вѣд.“ № 14591, „Вечерн. Вр.“ № 98, „Петроград. Газ.“ № 4, „Нов. Вр.“ № 13944, „Петроград. Лист.“ № 4.

**II. სამხედრო ქრონიკა.** საზღვარ-გარ. ჯარების მოქმედებიდან.

**III. პერემიშლის ალყა რუსის ჯარის მიერ.**

**პროგრამის გარეშე:** სამადლობელი პარაკლისი წითელ მოედანზე პერემიშლის აღების გამო.

**ანონსი:** ხუთშაბათიდან, 23 აპრილიდან, ნაჩვენები იქნება სენსაციური სურათი 4 ნაწ. **„ომი და მშვიდობიანობა“** ლ. ტოლსტოის რომანიდან.

---

## ქართველ მსახიობთა ამხანაგობა.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს, **23** ა პ რ ი ლ ს, ქალაქის ბაღში გაიმართება

# დიდი სეირნობა

არაჩვეულებრივის პროგრამით.

სეირნობის დიასახლისი კნ. ალ. ჩიქოვანისა.

---

**უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია**

## კ. ი. ოცხელის და ამხ. ქუთაისში

**ალექსანდრეს ქუჩა, თფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.**

**კ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში** მოიპოვება ყოველ გვარი **სახელმძღვანელო** და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურიდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე გვერდით გამართულია **ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა**, სადაც მოიპოვება ყოველნაირი სამოსწავლო საკანცელარიო ნივთები.

— კ ა ტ ა ლ ო გ ე ბ ი უ ფ ა ს ო — თ.

---

**ექიმი** **ი. ჩარექოვი** ქალაქის საავადმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

---

**ექიმი** **გაბრიელ იოს. გოკიელის ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.** შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

---

**კ ბ ი ლ ი ს  ე ქ ი მ ე ბ ი**

## მენაღარიშვილი და ტრუფანოვა.

დ რ ო ე ბ ი თ  ბ ა თ ო მ ი დ ა ნ გადმოვიდენ ქალ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 9—1 და საღამოს 4—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი საშუალებით. თ.

---

## გ ა მ ო ც დ ი ლ სტუდენტთა ამხანაგობა

ამზადებს მოწაფეებს საშუალო სასწავლებელთა ყველა კლასისათვის. და ყველა საგანში. ინჟინრის ქუჩის გადასახვევი, სახლი ანდრეევისა, ქალთა უფასო სასწავლებლის ახლოს. თ. უ.

---

ჯარისკაცის ილია ჯაფარიძის მეუღლემ

## დაჰკარგე

თხოვნა სამხედრო უფროსის სახელზე დაწერილი და ოთხი შვილის წლოვანების მეტრიკა. მპოვნელს ვსთხოვს ეს დოკუმენტები გადასცეს „სამშობლოს რედაქციას. 3—3—უფ.

---

## Н У Ж Н А

**учительница** въ семьѣ въ отъѣздъ Гагры для подготовки дѣтей, въ возрастѣ 9 и 10 лѣтъ. Вознагражденіе по соглашенію. Справляться въ гостин. Франція, № 15, отъ 10 –1 час. дня.

*Князь Эмухвари.*

2—2—168.

---

# ომი

**პეტროგრადის დეპ. სააგენტოსაგან.**

### აღმოსავლეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 18 აპრილი. ოფიციალური. მთავარ სარდლის შტაბისაგან. მდ. ნემანის მარცხენა ნაპირის რაიონში ჩვენი ჯარი წინ მიიწევს. ჩვენ ბევრი დავატყვევეთ და ხელთ ვიგდეთ ტყვიის მტყორცნელები. ოსოვეცის ფრონტზე დაახლოვებით საღამოს 9 საათზე, 16 აპრილს, სოსნიცის პოზიციაზე გერმანელებმა ორჯერ მოიტანეს იერიში, მაგრამ დიდი ზარალით მოგერებულ იქნა. 17 აპრილს, მდ. პისსა და შკვას შუა ხელახლათ ჩვენს ჯარზე იერიშის მოტანას შეეცადა, მაგრამ მოვიგერიეთ. ჩვენმა მფრინავებმა დრობინ-რადიონჟ-რავის რაიონებში მტრის ბატარეას მარჯვეთ დაუშინეს ყუმბარები. დღე ღამის განმავლობაში გერმანელების არტილერიის ცეცხლი მეტათ გამწვავდა. კარპატებზე 17 აპრილის წინა ღამის განმავლობაში პოლენის რაიონში და უჟოკის გეზით ავსტრიელებმა შეგვიტიეს, მაგრამ დიდი ზარალით მოვიგერიეთ. 17 აპრილს, სტრიის გეზით ჩვენ ორი სიმაღლე დავიჭირეთ: ერთი კოზიუვკის სამხრეთით და მეორე გოლოვეცკოსთან, ამასთან 1000 დავატყვევეთ და რამდენიმე ტყვიის მტყორცნელი ვიხელთეთ. ჩვენი შეტევა გრძელდება. ზიშკოვის გეზით გერმანელების იერიშებს ვიგერიებთ. დანარჩენ ადგილებში მდგომარეობა უცვლელია

**პეტროგრადი.** 19 აპრილი. მდ. ვისლის იქითა რაიონში საარტილერიო ბრძოლა იყო, რომელმაც უკიდურესობამდი მიაღწია. 16—17 აპრილის განმავლობაში ერთ-ერთ ჩვენ რაიონზე მტრის არტილერიისაგან 30-ღი ყუმბარა იყო გამოსროლილი. 16 აპრილს, ჩვენმა არტილერიამ მტრის სამი ზარბაზანი დაამსხვრია და რამდენიმე ბატარეა ჩააჩუმა, მტრის ქვეითა ჯარი რამდენიმე ადგილას ცდილობდა თავისი სანგარებით დაგვახლოვებოდა, მაგრამ ჩვენი ცეცხლით ვიგერიებდით. გალიციაში დუნაეცის რაიონში გაშმაგებული საარტილერიო ბრძოლაა. ერთ პუნქტზე ავსტრიელების ნახევარ-როტა ხიშტებით დავფლითეთ, ცოცხლათ გადარჩენილნი დავატყვევეთ. მეორე პუნქტზე სანგრებიდან მტრის ერთი ბატალიონი გავსდევნეთ. 15 აპრილს, იასლოს რაიონში მტრის 8 ჰაეროპლანმა 10 ყუმბარა ჩამოაგდო. არავინ დაუზიანებია. 17 აპრილს, ჩვენმა არტილერიის ცეცხლმა მტრის ერთი ჰაეროპლანი თავისივე ბანაკში ჩამოაგდო. ამ დღეებში მეზოლაბორჩის გეზით არტილერიის თოფის ცეცხლით იყო ბრძოლა. კოზიუვკის რაიონში ბრძოლები გრძელდება. რამდენიმე პუნქტზე ჩვენი ჯარის ნაწილები მავთულის ღობეებზე გადადიან და წინ წარმატებით მიიწევენ. 16 აპრილს, გოლოვეცის რაიონში დიდმნიშვნელოვანი სიმაღლე დავიჭირეთ. ჩვენმა ერთმა ნაწილმა ხიშტებით უკუაგდო მტერი, რომელიც გვიახლოვდებოდა. 7 ოფიცერი და 374 ჯარისკაცი დავატყვევეთ. 12—15 აპრილამდი ეტოსის რაიონში 16 ოფიცერი და 634 ჯარისკაცი დავატყვევეთ.

### დასავლეთის ასპარეზი.

**პარიზი.** 18 აპრილი. დღის ოფიციალური ცნობა. იპრის ჩრდილოეთით სტეენსტრეტის რაიონში ჩვენ წინ წავიწიეთ. გერმანელებს რეიმსზე 500 ყუმბარა ჩამოუგდიათ, რის გამოც ბევრ სახლს ცეცხლი გაუჩნდა, მაგრამ მალე ჩავაქრეთ. შამპანში მტერმა სანიტარულ რაზმს სროლა აუტეხა. დაიჭრა ერთი ექიმი. ბელგიის სანაპიროებთან გერმანიის სამხედრო გემებია შეჩნეული. გუშინ მტერმა დიდი ყალიბის 12 ყუმბარა ესროლა დიუნკირხენს. მოკლულია 12, დაჭრილია 45 და დანგრეულია რამდენიმე სახლი. საღამოს ოფიციალური ცნობა. ბელგიაში იპრის ჩრდილოეთით ჩვენ მტერზე მოხდენილათ მივიტანეთ იერიში და მთელ პირზე 500 მეტ. თუ ერთ კილომეტრამდი წინ წავიწიეთ. ჩვენ ერთი მეორეზე თხრილების ორი ხაზი დავიჭირეთ. მრავალი დავატყვევეთ. ამერიკის გაზეთ „ასო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დღეს რა მოხდა.

**ოსმალეთის ასპარეზი:**

ავსტრალიისა და ნოვოზელანდიის ჯარებმა სარიბაირის ფერდობები დაიჭირეს. ინგლისის ჯარმა—ტეპებლი და მორტის ნავთსადგური, აზიის ნაპირზე საფრანგეთის ჯარი, 13 აპრილს, განთიადისას გადმოვიდა. გალიპოლზე მოკავშირეთა ჯარი 70,000 გადმოვიდა. გადმოსხმულ საფრანგეთის ჯარის რაოდენობა 25,000 უდრის. მოკავშირეთა არტილერია 100,000 კაცისაგან შესდგება.

**აღმოსავლეთის ასპარეზი:**

ოსოვეცის ფრონტზე მტრის ორი იერიში მოგერებულია. კარპატებზე პოლენის რაიონში ავსტრიელები დამარცხდნენ. გოლოვეცკოსთან და კოზიუვკის სამხრეთით რუსის ჯარმა ორი სიმაღლე დაიჭირა.

**დასავლეთის ასპარეზი:**

არგონის სიმაღლეზე ბაგატელთან გერმანელების ორი იერიში ადვილათ არის მოგერებული. ლეპრეტის ტყეში მტერმა რამდენიმე თხრილი დაკარგა, 150 კაცი და ტყვიისმტყორცნელი. მფრინავები მტერს გადურჩა. რეიმსზე გერმანელებმა 500 ყუმბარა ჩამოაგდეს. დიუნკირხენს ყუმბარებს უშენენ. მოკლულია 12, დაჭრილია 45 და დანგრეულია რამდენიმე სახლი. ბლაუვეტბურგის სამხრეთით ბელგიელებმა 400 მეტ. ფერმა დაიჭირეს. „ტრაულერ-ლილიდიელი" ტალნის სიმაღლეზე გერმანიის წყალქვეშა ნავმა ჩაძირა. ინგლისის კრეისერმა გერმანიის გემი „მაკედონია" დაიჭირა.

„შიუ-ტედტის" წარმომადგენელმა დღეს გერმანსვე-ლერას მწვერვალი დაათვალიერა, რომელზედაც მტერს უკანასკნელ ორ დღეს იერიში აღარ მოუტანია. ერთმა ჩვენმა დირიჟაბლმა რკინის გზის ბოგირს პაკგაუზს ყუმბარები დაუშინა. ვილანეს რაიონში ჩვენი ერთი დაზიანებული ჰაეროპლანი მტრის ხაზზე ჩამოვარდა.

**ლონდონი.** 18 აპრილი. „ტრაულერ-ლილიდეილი" ტალნის სიმაღლეზე გერმანელების წყალქვეშა ნავისაგან არის ჩაძირული. ეკიპაჟი გადარჩენილია. მტრის წყალქვეშა ნავს გამოვეკიდეთ, მაგრამ ინგლისის სადარაჯო გემის ცეცხლს გაუსხლტა, რომელმაც მას სროლა აუტეხა. ფიქრობენ, რომ გერმანელების წყალქვეშა ნავი დაშავებული უნდა იყოსო. საადმირალო იტყობინება: გერმანიის სათავეო გემი „მაკედონია" ლასპალმასიდან მომავალი ინგლისის კრეისერმა დაიჭირა.

**ოსმალეთის ასპარეზი.**

**პეტროგრადი.** 18 აპრილი. ოფიციალური. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. 16 აპრილი, ჭოროხის იქითა მხარეზე სროლა გრძელდებოდა. მთებზე დიდი თოვლია და ნამქერი.

**სოლუნი.** 18 აპრილი. კუნძულ მიტილენიდან იტყობინებიან: 16-17 აპრილის განმავლობაში მოკავშირეთა ფლოტი კილდბახრის სიმაგრეებს ყუმბარებს უშენდა. ინგლის-საფრანგეთის ჯარი, რომელიც გალიპოლზე გადმოვიდა, 70000 უდრის. აზიის ნაპირზე გადმოსხმულ საფრანგეთის ჯარის რაოდენობა 25000 უდრის. ტიურკოსების დივიზია კუმ-კალეს სამხრეთით გადმოსხა, შეუპოვარ ბრძოლის შემდეგ ოსმალებმა 400 კაცი დაკარგეს. ოსმალების ჯარები გალიპოლის ნახევარ კუნძულზე მოკავშირეთა ჯარის შიგნით შეტყუებას ცდილობენ, ვიდრე მოკავშირეთ მაშველი ჯარი მოუვათ.

**ათინა.** 18 აპრილი. მიტილენიდან იტყობინებიან: გუშინდელ დღის აქეთ გალიპოლის ნახევარ კუნძულზე შეუპოვარი ბრძოლა გრძელდება. მოკავშირენი წარმატებით იბრძვიან. ოსმალების ჯარები ფორტებიდან: მალტეპე, ხაჯატეპე და ყარსივასის სიმაღლიდან გამოვიდენ და იერიში მოიტანეს. მოკავშირეთა ჯარმა მოიგერია, ბევრი დაატყვევა და სამხედრო მასალაც იხელთა. მოკავშირეთა ჯარები ნახევარ კუნძულზე წინ მიიწევენ. მოკავშირეთა არტილერია აქ 100000 კაცისაგან შესდგება. ახალი ჯარის მოსვლას მოელიან.

**ლონდონი.** 18 აპრილი. ოფიციალურათ გამოქვეყნებულია ცნობა დარდანელზე მომხდარ ბრძოლის შესახებ. 12-16 აპრილამდი მოკავშირეებმა ჯარის გადმოსასხმელათ სანაპიროზე ექვსი პუნქტი ამოირჩიეს. მთელი ფლოტის დახმარებით ჯარის გადმოსხმა ხდებოდა. პირველ დღეს მოკავშირეთა მოქმედების ნაყოფი იმაში გამოიხატა, რომ სამ უმთავრეს პუნქტზე ინგლისისა, ავსტრალიისა და საფრანგეთის ჯარები გამაგრდენ. ავსტრალიისა და ნოვოზელანდიის ჯარებმა სარიბაირის ქვეითა ფერდობები დაიჭირეს, გაბატეპის ჩრდილოეთით. ინგლისის ჯარმა დაიჭირა ტეპებლი და მორტოს ნავთსადგური და საფრანგეთის ჯარი, 13 აპრილს, განთიადისას აზიის ნაპირზე კუმკალესთან გადმოვიდა. მტერი ჯერ კიდევ სოფელ სეიდილბარხშია, რომელიც აურაცხელი ორმოებითა, თხრილებითა და მავთულის ღობეებით არის გამაგრებული. მიუხედავათ ასეთ მრავალნაირ დაბრკოლებათა, ინგლისელებმა ეს პოზიცია მაინც დაიპყრეს. ამნაირათ, ნახევარ კუნძულის ამ ნაწილში მოკავშირეთა მდგომარეობა უზრუნველყოფილია. 14 აპრილს, მოკავშირეებმა წინ წაიწიეს და მტრის თხრილების ერთი ხაზი დაიჭირეს ჩრდილოეთით და კონსტ-ტენედან დეტოტის ბატარეიებამდი. იმავე დროს ავსრალიელები და ნოვოზელანდიელები ოსმალებს შეებრძოლენ და მათი ყველა განმეორებული იერიში მოიგერიეს. დილით 14 აპრილს, ოსმალების დივიზიასთან შეუპოვარი ბრძოლა მოხდა. ავსტრალ. და ნოვოზელანდიელებმა არტილერიის ცეცხლით მოიგერიეს და შემდეგ თვითონ შეტევაზე გადავიდენ. 15 აპრილს, ფრანგებმა კუმკალესთან ოსმალების ძლიერ კონტრიერიშებს გაუძლეს, შეინარჩუნეს თავისი პოზიციები და 500 ოსმალო დაატყვევეს. ჩვენი ქვეითა ჯარის დანაკლისი უფრო დიდია, ვიდრე ფლოტისა, რადგანაც წყლიდან ნაპირზე გადმოსვლის დროს, ყველა მოსაგერებელ საშუალებებს შეხვდა, მაგ. როგორიც არის: წყალში გაბმული მავთულები და ხმელეთზე კიდევ სხვადასხვანაირი დაბრკოლებები. ოსმალეთის სამხედრო გემებმა რამდენჯერმე დააპირეს ბრძოლაში მონაწილეობა მიეღოთ, მაგრამ გამოჩნდებოდა თუ არა ჯავშნოსანი „კვინ-ელიზაბედი", უკანვე წავიდოდენ ხოლმე. ამ ჯავშნოსანს ოსმალეთის 8000 წყალწყვის ტრანსპორტისთვის უნდოდა სადმე უხერხულ მდგომარეობაში მოესწრო.

## სხვა და სხვა ამბები.

(პეტროგრადის დეპ. სააგენტოსაგან.)

**ბორდო.** 18 აპრილი. ოგანიერისა, დეპუტატებისა და მთავრობის წარმომადგენელთა თანადასწრებით ახალი ჯავშნოსანის „ლანგედოკის" ზღვაში ჩაშვება მოხდა. სისწრაფის გამო ჯავშნოსანმა თავი ვეღარ დაიჭირა და მეორე ნაპირთან თავთხელში შეიჭრა. ლიხტერი დაინგრა და სამიც დაილუპა. სალიმოს წყალი რომ ნაპირებისკენ წამოიწევს, ჯავშნოსანს თავთხელიდან გაანთავისუფლებენ.

**სოლუნი.** 16 აპრილი. როგორც გაზეთებში იტყობინებიან გალიპოლის დაპყრობის შესახებ ცნობა ჯერ-ჯერობით არ მართლდება. მიტილენიდან დეპეშით იუწყებიან, 17 აპრილს, მანდოსსა და გალიპოლის შუა მომხდარ ბრძოლის შესახებ.

**ბუქარესტი.** 19 აპრილი. კონსტანტინეპოლიდან იუწყებიან: სომხებსა და ებრაელებს, განსაკუთრებით სიონისტებს სჩხრეკენ და აპატიმრებენ.

სომხების „დაშნაკ-ცუტიუნების" კომიტეტი გაუქმებულია და რამდენიმე გამოჩენილი წევრიც დაპატიმრებულია.

**ტოკიო.** 19 აპრილი. ჩინეთმა იაპონიის მოთხოვნილებებზე უარი განაცხადა, რომელიც აღმოსავლეთ-მონგოლიასა, იაპონიის იარაღების შესყიდვასა და რკინის გზების გასაყვან უფლებას შეეხებოდა.

**სტოკჰოლმი.** 19 აპრილი. როგორც ოფიციალური საბუთებიდან სჩანს, შედარებით წარსულ წელთან კვერცხების შემოტანა გასამკეცდა. მიწის მოსავალი: სიმინდი—ცხრაჯერ მეტი შემოდის ვიდრე წინა წლებში, შვრია—ხუთჯერ, ფქვილი—ოთხჯერ, ყავა—ერთი და ნახევარჯერ მეტი, ნაღბის გატანამ—ხუთჯერ იმატა და პურის გატანამ-კი იკლო, რადგანაც გატანა აკრძალულია.

**ლონდონი.** 18 აპრილი. ქვანახშირის გემი „მობნიე" გერმანიის წყალქვეშა ნავმა გებრონტის კუნძულების სიმაღლეზე ჩაძირა. კომანდა ლეის მხარეზე გადაიყვანეს.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

### იტალიის გამოსვლის შესახებ.

„რუსკია ვედომ." კორესპონდენტი ოსორგინი რომიდან იტყობინება:

ხშირი და ხანგრძლივი თათბირი ავსტრიის ელჩისა სონინოსთან გვაფიქრებიებს, რომ ავსტრო-იტალიას შორის მოლაპარაკებამ უკიდურეს წერტილამდი მიაღწიაო.

„იდეა ნაციონალე" ამის გამო სწერს: „მიუხედავათ ამ ნიშნებისა, ჩვენ მაინც ვეჭვობთ, რომ ომი გამოცხადდესო".

იტალიის გამოსვლის შესახებ საეჭვო ხმების შორის უფრო დაჟინებით ადასტურებენ შემდეგს:

პირველი ის, რომ კონსტანტინეპოლში იტალიისა და ამერიკის ელჩების მეთაურობით უკვე გაიმართა მოლაპარაკება ოსმალეთთან სეპარატიული ზავის ჩამოგდების თაობაზე და გერმანიაც ასეთი ზავის იდეას თანაუგრძნობსო; მეორე ის, რომ გერმანია დაბეჯითებით ურჩევს ოსმალეთს დაუთმოს ბულგარეთს ფრაკია და ამით მოინადიროს ბულგარეთი სერბიისა და რუსეთის საწინააღმდეგოთ. ორივე ეს ხმა, როგორც ჩანს, გამოწვეულია ფონ-დერგოლცის ბერლინს გამგზავრების მიზეზის ახსნის სურვილით.

კოპენჰაგენიდან [illegible], რომ იტალიისა და სერბიას შორის სრული შეთანხმება მოხდა ადრიატიკის აღმოსავლეთ სანაპიროების გაყოფის შესახებ. ხელშეკრულებას უკვე მოაწერეს ხელი. გერმანიის ცდამ—შუღლი ჩამოეგდო ამ ორ სახელმწიფოს შორის—უნაყოფოთ ჩაიარაო.

### პროპაგანდა ზავის შესახებ.

კოპენჰაგენიდან „ბირჟ. ვედ." კორესპონდენტი იტყობინება, რომ ფრიტიოფ ნანსენი საიდუმლო მიზნით ამერიკას მიემგზავრებაო. ნანსენი წასვლის მიზანს არავის უხსნება: დამტკიცებით ამბობენ, რომ ამერიკაში შეიკრიბებიან ნეიტრალურ სახელმწიფოების გამოჩენილი პირები, რომელთაც განზრახვა აქვთ გააძლიერონ პროპაგანდა ზავის ჩამოგდების შესახებ, ამ პირებს დიდი იმედი აქვსთ ვილსონის დახმარებისა. გააგში, როგორც ჩანს, ოფიციალური ცნობაა, რომ ჰოლანდიის პარლამენტის კათოლიკების ფრაქციის თავჯდომარე დოკტორი ნოლენსი მთავრობის დავალებით რომს გაემგზავრა იმის გამოსარკვევათ, თუ რა ნაბიჯი გადასდგა ვატიკანმა მშვიდობიანობის დამყარებისათვის.

ავსტრიის გამოჩენილი მწერალი ქალი როზინა შვიმერი ორ ამერიკელ თანამგზავრ ქალით, მთელს სკანდინავიაში მოგზაურობს ზავის სასარგებლოთ პროპაგანდის გაწევისათვის. ამ მოკლე ხანში ისინი გაემგზავრებიან გააგისკენ ფემინისტების კონგრესზე დასასწრებლათ. ამერიკის შუამავლობაზე ზავის ჩამოგდებისათვის გრაფი რევენტლოვი სწერს: არც ერთს გერმანელს არ სჯერა ამერიკის მთავრობის ლოიალობა. ამერიკამ აშკარათ დაიკავა გერმანიის სამტრო პოზიცია და ამიტომ მისი შუამდგომლობა მებრძოლ სახელმწიფოთა შორის ზავის შესაკვრელათ აუცილებელიაო.

### სპარსეთი.

თეირანიდან ოდესაში მოსული საფრანგეთის პროფესორი ჟოფრუა გადმოგვცემს, რომ თეირანში გარეგნულათ მშვიდობიანობა სუფევს. მაგრამ უკანასკნელ დრომდი ადგილობრივ მცხოვრებლებს მოკავშირე სახელმწიფოების ქვეშევრდომებისადმი სიძულვილი ემჩნეოდათ. ყველაზე უფრო *კარგი თვალით ფრანგებს

## გიორგი მესამე.

დრამატიული ეტიუდი 4 მოქმედებათ უგან. თ-დ. გიორგი მიხეილის ძის შარვაშიძისა.

(დასასრული. იხ. „სამშობლო" 50-ე №)

**მეფე.** (ჯავახიანს) არ დამავიწყდეს; ლაშქრის მღვდელსა უნდა შეუთვალო:

ტყვეთ გადუწყდებათ—რა სასჯელი,
ლოცვად დარეკოს,
და შეაბრალოს მათი სული ზეცად
უფალსა,
დამნაშავეთა ზეციერთა, ის განასვენებს.
ჩვენ ცოდვილნი კი—გაცანვაგებთ
მხოლოდ ქვეყნიურს..
ხამს ვილოცვიდეთ, მოგვიტეოს ჩვენცა
ცოდვანი. (ჯდება. ჯავახიანი თავს დაუკრავს მეფეს, მიგა მხედართან და მეფის ბრძანებას გადასცემს; მხედარი გადის. მეფე დემნას).
რას ლაპარაკობ, რასა შვრები შე
საცოდაო?
მარტოკა შენს თავს რაღაცას
ესაუბრები!....
მტარვალს მეძახი და ბოროტსა... მნახე
თუ არა,
თოკი მოიბი კისერზედა. . აბა რა გიყო
ორგულს ორპირსა, სულტსა დაფრთხალს?
რა უნდა გითხრა?
დამიჯერე რომ ხმას არ გაგცემდი,
ჩემს სასახლესა გამყოფებდი, პურსა
გაჭმევდი,
მაგრამ ვინ მაცლის! შენს მოკეთეთ
მოჰკითხე შენი
ბედი იღბალი! შენ მიზეზად აუტეხიხართ,
რომ საქართველო ასვარონ და
დაცაამცირონ!
ღვდლურებსა რა ჰკუა აქვთ და ან
როგორი გონიერება... (პაუზა).

**დემნა.** მე გიახელი, ხელმწიფეო,
გამოვიპარე
შენდობასა გთხოვ იმისთვის რაც არ
შემიცოდნია!

**მეფე.** როგორ თუ არ შევიცოდნია!..
ცრუობ კიდეცა?

**დემნა.** არა ბატონო! არასოდეს
წინააღმდეგი
თქვენის უფლების მე არ ყოფილვარ!

**მეფე.** ერთი უყურეთ... ლაშქრით
მომადგა, სამეფოსა კი მესარჩლება
და ახლა ამბობს „წინააღმდეგი თქვენი
არ ვარო! (თანდათან დამდება; მცირე ფიქრის შემდეგ ჯავახიანს).
წაიყვათ და ჩააბარე: ვბრძანებ
დაასაჭურისონ!
მისს საკადრისსა უკეთ ვერას ვერ
მოვიგონებთ!.. (ჯავახიანი წაიწევს მხედრებით. შემოდიან სარქის მხარგრძელი და გამრეკელი. მხედრებს კი მოჰყავთ დაკოდილი გაბრიელ ბერი.)
ვინა ხართ თქვენა? ვეღარ გარჩევთ,
დამდება კიდეც!

**სოსლანი.** (მხედრებს) ცეცხლი გააჩაღეთ. (გააჩაღებენ ცეცხლს).

**მხარგ.** ჩვენ გახლავართ ბატონო, გამრეკელი და სარქის მხარგრძელი.

**მეფე.** რა ამბავია?

**სარქის.** დაჭრილი გახლავთ, ხელმწიფეო!

**გაბრიელი.** (ლაპარაკობს შეწუხებული ჭრილობისაგან)

ხელმწიფევ! მე გიახელით უფლის წულის გამოსაყვანად ციხიდან, მაგრამ იქ აღარ დამხვდა, უჩემოდ წამოსულიყო ტყე-ტყედ მე გამოვედევნე და ამ დროს... ვიღაც უცნობი დამეტაკა და სიგელი მთხოვა; აბა სიგელს ცოცხალი როგორ დავანებებდი! დამეჭიდა .. ხმა გავაბი.. მაშინ სატევარი მკრა და ცნობა დამეკარგა!... ეს ბატონები მომესწრენ. სული შემიბრუნეს და აქით წამომიყვანეს.

**მხარგრ.** სწორედ იმ დროს გიახელით, როცა ვიღაც კაცი უპეებს ურინჯავდა. დაგვინახა შორიდან, თუ არა და, ტყეს მისცა თავი და გაგვექცა, ხელმწიფეო!

**მეფე.** (ბერს) რა სიგელს გთხოვდა? აბა სადაური?

**ბერი.** აი იმ სიგელს, ხელმწიფეო, დღეს რომ მიბოძეთ.

**მეფე.** დღეს გიბოძე მე შენ სიგელი? ხომ არ დაგზმანებია?

**ბერი.** არა ხელმწიფევ!

**მეფე.** სადა მნახე? რას ამბობ? (ხმას გამოიცვლის) ფერი უხდება: დასვით წყალი აპკურეთ, (ცოტა ხანს შემდეგ სულს მოიბრუნებს).

**ბერი.** არა, ბატონო, თქვენი ხილვა არ
მღირსებია.
ორი დღეა, რაც მაგ საქმესა მე შევუდექ;
ბატონ მანდათურთ უხუცესთან მქონდა
ბაასი:
ჩემის გაზრდილის, სეფის ძისა დამორჩილება
თვითა მე ვიკისრე. ხოლო მისგან თქვენი
მონება
არ არს საეჭვო, რადგან აგერა თვითონ
მოსულა,
ვიდრე წყალობას თქვენს წერილსა იქ
მიუტანდი!..

**მეფე.** და ის წერილი... ის სიგელი, ვინლა მოგცა შენ?

**ბერი.** თვითონ მანდათურთ უხუცესმა, ჯავახიანმა.

**მეფე.** (გაშრება) რა ამბავია ეს, ყუბარსან?

**ჯავახ.** (ვითომდა არაფერია) მართლაც, მეფეო, სიზმარშია, ანუ ამბოდებს.

**ბერი.** ეს რაი მესმის... ღმერთო! რას ჰკავს! თქვენ უარსა ბრძანებთ? თქვენ ამბობთ, რომ ჩემთვის სიგელი არ მოგიციათ?

**ჯავახ.** რას ბოდავ, ბერო, რას ლაქლაქობ? მოდი გონზედა! ხელმწიფეო! მე მართლაც კი რომ ვესაუბრე. მინდოდა თქვენი სამსახური და მოვიფიქრე, ეგებ უომრად დაეჯერათ დამორჩილება!.. ხოლო რა სიგელს იხსენიებს... ეგ, მე არ ვიცი (ბერი ამოიღებს წიღის უბიდან ქაღალდს და უხმოდ წაიშვერს წინ მეფისაკენ. ჯავახიანი მივარდება, ქაღალდს წაგლეჯს ხელიდან და ცეცხლში ჩააგდებს).

**ბერი.** ვაი, ვაი!

**მეფე.** რასა შვრები შენ ავაზაკო და უსირცხვილო? საბუთსა სწვავ?.. უშვილეთ ჩქარა! (მივარდებიან, მაგრამ გვიანაა).

**ჯავახ.** ჩემთვის საბუთი ეს არის ჩემო
ხელმწიფევ!
ალბათ რიოში იქნებოდა ეგ წერილი;
ვიუკადრისე, მომიტევეთ, რომ ჩემი სი-
ტყვა,
ვიღაც ლოტაკს, გაპარულის ბერის ბოდ-
ვასა
შეატოლეთ!—

**მეფე.** დაჩუმდი ყბედო: ნუ ლაქლა-
ქობ, თორემ იცოდე
წაგჭრი მხამიანს მაგ შენს ენას! როგორ
გაბედე—
რომ ხელთ წარმტაცე წერილი და ცეცხლ-
ში დასწვი?
ვისგან მიიღე ეს უფლება, შე ავაზაკო?

**ჯავახ.** ჩემო ხელმწიფევ! დღეს შავი
დღე, სჩანს, გამითენდა!
ჩემი ოცი წლის სამსახური და ერთგუ-
ლება
თქვენ თითონ უწყით; თავის ქება მე რა-
ღად მინდა!
დღეს ერთსა წამში, ეს ნასარჯლი და თქვე-
ნი ხლება
და ყველა ჩემმა სასოებამ, სულ ჩაიარა.
უცნობის ვისმეს, უგვარტომოს კაცის სი-
ტყვითა
ავაზაკობას მე მწამებთ—

**მეფე.** (მრისხანეთ) ჩუმათ! ტიტინი კმა-
რა!—
ვერ მომატყუებ მე ადვილად სითამამითა.
შმაგი არ არის ეს კაცი, რომ რიოში
სწეროს,
მერე ელადოს „თქვენიაო" მე დამაჯეროს!
თქვენ ორში ერთი შიშთვილზედა ასაყ-
ვანია..
და ვიცი კიდეც ვინაა ღირსი... დიდი
ხანია.

**ბერი.** (დაიჩოქებს) მეფევ, ბატონო!
ნება მიბოძეთ მომაკვდავსა, რომ შეგე-
ვედროთ:
დე სამართალი ჰყოს ზინამან

**მეფე.** აბა, როგორ?

**ბერი.** შანთი გაგვიგდონ ჩვენ ორთა-
ვეს, რომელიც გასძლებს
მას შეუნდეთ, ბედი აპართლებს.

**მეფე.** შანთები ჩქარა. (ქონდაქარი მიდის. მეფე მიაძახებს). მაგრამ ერთიცა კმარა. ამ საბრალოს რაღა შანთი უნდა, სული კბილებით უჭირავს. გაიყვანეთ და მოასვენეთ. (ბერი გაჰყავთ მხედრებს) დემნა! შენც გაჰყევი და მოუარე შენს მოძღვარს. თოკი აიხსენ და მოუცადე ჩემს ბრძანებასა. (დემნა თოკს მოიხსნის, მეფეს მუხლებზე აკოცებს და გადის). სარანგთა უთხარ (გამრეკელს) თვალი ადევნონ, კვლავ არ გაიქცეს.

**ჯავახ.** (მოიხსნის იარაღს და მიწაზე დაყრის).

არა ღირს იგი, საპატიო ამ საჭურვე-
ლის,
რომელიც ეხლავ, სამარცხვინო შანთა
მოელის.

**მეფე.** ჭკუასა შვრები, შენით მიხვდი, თორემ აგყრიდენ. (შემოაქვთ გახურებული შანთი, ბრტყელი რკინა. ჯავახიანი მარცხენა ხელს წაიშვერს).

**მეფე.** (გამრეკელს) თვლოს, დაითვალე შენ ათი წუთი. (შანთს დაადებენ ხელის გულზე).

**გამრ.** (ითვლის) ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა, ცხრა და ათი! (ჯავახი ამპარტავნად გადააგდებს შანთს. სიჩუმე).

**ჯავახ.** ნებას მიბოძებთ, ხელმწიფეო, აბჯარი დავიბრუნო?

**მეფე.** (დუმილის შემდეგ) იყოს ნება ღვთისა... მაგრამ თვალში კი ნუ მეჩხირები.

(მხედარნი აძლევენ იარაღს ჯავახიანს და იგი გადის).

**მხარგრ.** (შემოდის) ხელმწიფეო! სპასალართა ვაცნობე, ლაშქარი მზათ გახლავთ; მე გახლავთ ბრძანების მისაღებათ.

**მეფე.** ძალიან კარგი: მომყევი კარავს, გეგმასა გითხრობ.

(შემოდის ამ დროს მიკრიკი და ცალ მუხლზე დაჩოქილი, მეფეს წერილს მიართმევს).

**შიკრიკი.** დედოფლისა, მეფის ასულის წერილი გახლავთ. (აძგება და უკან დაიწევს.)

**მეფე.** (კვარს მოართმევენ, წერილს კითხულობს).
მამავ ბატონო! ვფიცავ თქვენ ზეცს და
წმინდა ჯვარსა,

## პროვინციის ხელისმომწერთა საყურადღებოთ!

გაზ. „სამშობლო"-ს რედაქციის კანტორა ერთხელ კიდევ მიმართავს პროვინციის თავის ხელისმომწერლებს და მოაგონებს, რომ ... თვეა, რაც მათ გაზეთი ეგზავნებათ და ბევრ მათგანს გაზეთის დასაკვეთი ფული სრულიად არ წარმოუდგენია. კანტორა ... სთხოვს ხელისმომწერლებს ამ წერილის დაბეჭდვის დღიდან ერთი კვირის განმავლობაში გამოგზავნონ გაზეთის დასაკვეთი ნახევარი წლის ხვედრი ფული და ამასთანავე აცნობონ კანტორას, თუ ვის რამდენი აქვს გამოგზავნილი „ახალი ივერიის" სახელზე დეკემბერსა და იანვრის პირველ რიცხვებში გაზეთის დასაკვეთად.

თუ უკეთუ კანტორა აღნიშნულ დროში ან ფულს, ან ამ ცნობას არ მიიღებს, იძულებული იქნება ასეთ ხელისმომწერლებს გაზეთის გზავნა შეუწყვიტოს.

---

უყურებენ. შახი კვლავ ირწმუნება, რომ იგი ნეიტრალიტეტს ბოლომდი დაიცავს, თუმცა ოსმალების შესევის საწინააღმდეგოთ არავითარი აქტიური მოქმედება არ გამოუჩენია. მთავრობა თავის თანაგრძნობას ოსმალეთისადმი მალავს. მართალია ამ ბოლო დროს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ოსმალებმა სპარსეთის მექქა ქალაქი კერბელი გაანადგურა, მათ შორის დამოკიდებულობა შეიცვალა. დიპლომატიური წრე არწმუნებდა შაჰს, რომ ოსმალებმა ამ ქალაქის განადგურების გამო ბევრი დაჰკარგესო.

ოსმალების შესევის გამო დღევანდელი გულცივობა სპარსეთისა მისი სისუსტით აიხსნება. ცენტრალური მთავრობა თავს იმართლებს, რომ ის ოსმალებს არ ეხმარებაო.

ოსმალების დახმარებაში ბრალი ედებათ მხოლოდ ადგილობრივ მთავრობებს, რომელნიც, რელიგიური მოსაზრებით, თანაუგრძნობენ ოსმალებს. კერძო გუბერნატორების წინააღმდეგ უკვე მიღებულია ზომები და ზოგიც გადაყენებულიაო.

კარმანშახში ოსმალების შესევა, ნეიტრალური დიპლომატების მტკიცებით, ავსტრო-გერმანიის ელჩების მოწყობილია. თეირანში ოსმალების შესევისა ეშინოდათ, რადგანაც მთავრობა უმოქმედობას იჩენდა, მაგრამ ახლა მდგომარეობა შეიცვალა. დიპლომატიური კორპუსის დაჟინებითი მოთხოვნით, მთავრობამ განაცხადა რომ იგი ენერგიულ ზომებს მიმართავს, თუ ეს საჭიროებამ მოითხოვაო.

### ბულგარეთის პოზიცია.

„ტან"-ის კორესპონდენტს უსაუბრია ბულგარეთის სახელმწიფო მოღვაწეებთან ბულგარეთის მიმხრობის თაობაზე. როდოსლავოვმა მოიგონა რა თავისი დეკლარაცია, წაკითხული კრებაზე, განაცხადა, რომ ბულგარეთი კვლავ დაიცავს მტკიცე ნეიტრალიტეტსო და ამასთანავე დაუმატა, რომ, მისი აზრით, საეჭვოა სამთა შეთანხმებას დასჭირდეს ისეთი პატარა სახელმწიფოს დახმარება, როგორც ბულგარეთიაო.

მალინოვი უსაყვედურებს მთავრობას გამოურკვეველ პოზიციისათვის.

ბულგარეთი უნდა მიემხროს სამთა შეთანხმებას და უნდა დაიკავოს საბერძნეთის მიერ მიტოვებული პოზიცია, რისთვისაც ბულგარეთს სამაგიეროთ მოკავშირეთაგან სრული გარანტია უნდა ქონდეს კომპენსაციისა. სამთა შეთანხმებამ კი პირობითი წინადადება მისცა ომის დასრულების შემდეგ მაკედონიის დათმობის შესახებ. ასეთი საეჭვო გარანტია ბულგარეთს ვერ დააკმაყოფილებს, თუმცა ეს წინადადება შეიძლება საფუძვლათ დაედვას მომავალ მოლაპარაკებასო.

გენადიევი ამტკიცებდა, რომ სამთა შეთანხმება მოითხოვდა ბულგარეთის გამოსვლას ოსმალეთის წინააღმდეგ და ამისთვის მას პირდებოდენ ფრაკიის ნაწილს. ბულგარეთის ოცნება კი ფრაკია არ არის, მისი სურვილია მაკედონიის შეერთება. ბულგარეთის სამთა შეთანხმებასთან შეერთება შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ სერბია დაუბრუნებს მას იმ ზონის ნაწილს, რომელიც ბულგარეთს ეკუთნოდა 1912 წლის ხელშეკრულობის ძალით და თუ საბერძნეთი დათმობს სერესს, კავალას, და დრამას.

დღევანდელ მდგომარეობას გენადიევი სასურველათ სცნობს, თუმცა ეჭვობს, რომ იგი ასეთი დარჩეს ომის დასრულებამდი.

---

## ვინაა გერმანიის უმთავრესი მტერი.

„Vossische Zeitung"-ი „უმთავრესი მტერი და ომის მიზანი" ს სათაურით მოწინავე სტატიაში დასმულ საკითხს არჩევს და გაკვირვებით შენიშნავს: იმ დროს, როცა აღმოსავლეთსა და დასავლეთში სისხლის ღვარი სდგას, სამშობლოში კამათობენ იმის შესახებ, თუ რა არის ომის მიზანი, ან ვისთან უფრო შეუძლია გერმანიას მოლაპარაკება გამართოს და შეუთანხმდესო. ერთნი ლაპარაკობენ რუსეთისაგან მომავალ შიშზე, მეორენი ამ შიშს გაზვიადებულათ სთვლიან და მოითხოვენ ინგლისის სიამაყის შემუსვრას. ზოგნი ამბობენ, რომ რუსეთისა და გერმანიის ინტერესები ერთმანეთს იმდენათ არ ეწინააღმდეგებიანო, მეორენი კი დასძენენ, ინგლისს სრულებით არ სურს გერმანიის მოსპობაო (ერთმა დიპლომატმა ესეც კი სთქვა: ინგლისი გერმანიის ერთგული მეგობარიაო). საკითხავია, დროის შესაფერისია თუ არა ასეთი მსჯელობა იმ დროს, როცა ზარბაზნები გრგვინავს ფლანდრიაში, კარპატებზე, მაასსა და მოზელს შუა, ვისლაზე და სხვაგან? პასუხი მხოლოდ ერთადერთია: ჩვენი უმთავრესი მტერი ისაა, ვინც ჩვენს წინააღმდეგ იბრძვის. ინგლისსა და რუსეთს ჩვენი შემუსრვა, ჩვენი განადგურება სწყურიათ და ჩვენი უმთავრესი მიზანიც მათი სურვილების ჩაკვლაა.

ასი წლის წინათ გერმანიამ რუსეთსა და ინგლისთან ერთად ნაპოლეონის ძალმომრეობით ბატონობას ბოლო მოუღო, და რამდენსამე თვის შემდეგ 1815 წლის ერთ ერთი ბრძოლის წლის თავი იდღესასწაულება. ბისმარკი ტყუილა ცდილობ და პეტერბურგსა და ლონდონს შუა გაბმული სატელეგრაფო მავთული ხელშეუხლებელი დარჩენილიყო. რუსებმა მოინდომეს, გერმანია მოსკოვის სატრაპიათ გადაქცეულიყო, „ბერლინის პაშალიკათ". ალექსანდრე მეორის სიკვდილის შემდეგ რუსეთის დიპლომატია გერმანელების სიძულვილით აღიჭურვა და ამზადებდა ნიადაგს გერმანიასთან ომის დასაწყებათ, მფარველობდა პანგერმანიზმს და იმედოვნებდა, რომ დადგებოდა ისეთი დრო, როცა რუსეთის კაზაკები თავის ცხენებს აბანებდენ შპრეეს წყლებში.

მეშჩელზე რუსების თავდასხმა ნათლად გვიმტკიცებს იმას, თუ რას უნდა მოელოდეს გერმანია რუსეთისაგან. დასკვნა ერთი შეიძლება: „რუსეთთან უნდა ბრძოლა და არა კამათი".

ინგლისი? ოდესღაც საღი ბერი სახარულით მიეგება ავსტრო-გერმანიის კავშირს, მაგრამ მაროკოს ხელშეკრულობის შემდეგ ინგლისს გამომწვევი პოზიცია უჭირავს და სურს გერმანიის ალყის შემორტყმა. დღევანდელი საერთაშორისო ომი ინგლისის გამოწვეულია რუსეთის დახმარებით. მას სურს გერმანიის წაართვას ახალშენები, მოსვენებას არ აძლევს გერმანიის ფლოტის გაძლიერება და სურს მისი განადგურება, სურს ზღვაზე მეტოქე არ ყავდეს და ყოველივე ამით კი გერმანიის ვაჭრობა-მრეწველობას ძირს უთხრის. იგი ებრძვის გერმანიის მილიტარიზმს, რომელიც გერმანიის სიძლიერეს წარმოადგენს. ის, რაც ინგლისმა ოდესღაც ესპანიას, ჰოლანდიასა და საფრანგეთს უყო, ახლა ჩვენთვის სურს, რადგანაც გერმანია მისთვის მეტოქე სახელმწიფოა. თუ არ შესრულდა ლორდ კერზონის წინასწარმეტყველება, რომ ინდოეთის ჯარი ისეირნებს პოტსდამის ბაღებში, მაგიერათ ინგლისი თავისი პოლიტიკით გერმანიას უქადის შიმშილით ამოწყვეტას. ასეთ პირობებში განა შეიძლება ინგლისი მეორე ხარისხოვან მტრათ ჩაითვალოს?

საზოგადოთ კი, ამბობს გაზეთი, ყოველგვარი მსჯელობა იმაზე, თუ ვინაა უმთავრესი მტერი გერმანიისა, უნაყოფოა და ზედმეტი და ხანდახან ასეთი მსჯელობა იწვევს სეპერატიულ ზავის ჩამოგდებაზე ლაპარაკს ერთ-ერთ მოპირდაპირესთან მაშინ, როდესაც ასეთი ტენდენცია სრულებით არ არსებობს და გერმანია თავგანწირვით ებრძვის აურაცხელ მტერს. უნდა ვიფიქროთ არა ომის მიზანზე, არამედ ბრძოლის შესახებ, თორემ ყოველს თეორეტიულ მსჯელობას ჩვენ სისუსტეთ ჩასთვლიან. ამავე დროს, როცა ვლაპარაკობთ ინგლისსა და რუსეთზე, არ უნდა დავივიწყოთ საფრანგეთიც: განა ვივიანი არ იყო, რომ ომი „უპარდონოთ" გამოგვიცხადა?

ამნაირათ ფილოსოფოსობას თავი უნდა დავანებოთ და ვიბრძოლოთ მედგრათ, —დაასკვნის გაზეთი „Vossische Zeitung"-ი.

---

### ქუთაისი, 21 აპრილი.

ჩვენ პრესაში ხშირათ გაისმის ხოლმე ხმა იმის შესახებ, რომ დაქსაქსული ძალები ქართველი ინტელიგენტებისა, თუ არაინტელიგენტებისა შეერთდეს, ერთ კალაპოტში დარუვდეს და შეერთებით, ხმა შეწყობილათ ემსახურონ საქართველოისა და მის შვილთა ზნეობრივსა, ქონებრივსა და გონებრივ აღორძინებას, აყვავებას.

ასეთი სურვილი დიდებული რამ არის და მისი განხორციელება აუცილებელიც, თუმცა სწორედ ეს განხორციელება შეუძლებლად მიაჩნიათ ზოგიერთებს, და ამ სურვილების გამომთქმელთ მხოლოდ მეოცნებეთა და უსაქმურებათ სთვლიან. მაგრამ ეს დიდი შეცდომაა.

ჩვენ არა ერთხელ დაგვიმტკიცებია, რომ მიუხედავათ ეკონომიურისა, პოლიტიკურისა და სხვა გვარ განსხვავებათა მაინც არსებობს თანამშრომლობა ერის სხვადასხვა კლასთა შორის და რაც უფრო გაღრმავდება და გაფართოვდება ეს თანამშრომლობა, მით უფრო ნაკლები სრესა და შეხლა-შემოხლა იქნება ხალხში და მაშასადამე ნაკლებ ტანჯვასაც განიცდის ესა თუ ის კლასი და ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

ჩვენის ღრმა რწმენით ჯერ უნდა მოწესრიგდეს შინაური საქმეები, ჯერ უნდა საქვეყნო, საერო, საზოგადო საქმე დავაყენოთ ფეხზე და მერე მოვსთხოვოთ ერთმანეთს ანგარიში.

ამისათვის კი საჭიროა გამოვნახოთ საერთო პლატფორმა, საერთო ნიადაგი, რომელზედაც ფეხს მოვიკიდებდეთ.

ასეთ პლატფორმათ, სადღეისოდ ჩვენ მიგვაჩნია „ქართული საქველმოქმედო საზოგადოება".

ასეთი საზოგადოება უკვე დაარსდა თფილისში 1906 წ.

წესდება უკვე შედგენილი და დამტკიცებულია მთავრობისაგან, მაგრამ დღევანდლამდი ეს საზოგადოება არ მოქმედებდა.

მიზეზი ამ საზოგადოების უმოქმედობისა ადვილი ასახსნელია.

. . . . . . . . .

აირია მონასტერი და მტერს მოყვრისაგან ვეღარ ვარჩევდით. დაკნინდა ჩვენი იდეალები, დაწვრილმანდა ჩვენი გულის თქმა. ვინც კარგი და მართლა მებრძოლი იყო, —დაიღუპა, ვინც გლახა და მატყუარა იყო, —უფრო გაგლახავდა. ცხრა მეათედი თუარა, რვა მეათედი მაინც უსირცხვილოდ ხალხის ჯალათად გადაიქცა. დამძიმდა ჰაერი, გაჭირდა ცხოვრება, ასეთი ყოფნა შეუძლებელი შეიქმნა და, აი დაიწყო შეფასება ყოველგვარ ღირებულებათა. დასებმა ფერი იცვალეს, ჯგუფებმა ახალი გზების გამონახვა დაიწყეს.

ამ დროს გავარდა ზარბაზანი ევროპაში, ასტყდა საერთო, მსოფლიო ომი.

. აღმოჩნდა, რომ თითოეულ ერს ჯერ თავის საერო საქმე ყვარებია, ჯერ თავისი საქვეყნო საქმის გაძლოლა სურვებია!..

ერი, ნაცია, სახელმწიფო... მათი დაცვა, და შენახვა. აღლო თავის დაცვისა! აა უმთავრესი ძარღვი სიცოცხლისაო! გვეუბნება თანამედროვე ცხოვრება.

ვისაც უნდა სხვას მოეხმაროს, ჯერ თავისი თავი უნდა შეინახოს, გააძლიეროს, გაამაგროს. უამისოდ ყველაფერი ტყუილია, უამისოდ აღიგვება პირისაგან ქვეყნისა და თუ კი ესა თუ ის ხალხი, ერი, განადგურდა, მაშინ ხომ ვერავითარ წვლილს ვერ შეიტანს კაცობრიობის საღაროში!?..

დაბეჩავებულმა ქართველმა ხალხმაც იგრძნო ეს ჭეშმარიტება, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ ეს ჭეშმარიტება იგრძნეს მისმა საუკეთესო, მოწინავე რაზმებმა, და დღეს, თუმცა ჯერ სულ არ განთავისუფლებულან ძველებურ აზროვნება-მოქმედებისაგან, მაგრამ საერო საქმეს კი დიდი ყურადღება მიაქციეს.

ჩვენ სიამოვნებით ვეგებებით ამ მოვლენას და იმედიცა გვაქვს, რომ ახლო მომავალში შეიქმნება ისეთი ძალთა-განწყობილება, რომელიც განსწმენდს საქართველოს შინაურ თუ გარეშე მავნეთაგან და თამამათ ეტყვის ყველას: „შენც იცოცხლე, მეც მაცოცხლე, მეძმე და თუ გიძალატო, წყეულიც ვიყოო!" მაშ, პირველ ყოვლისა საჭიროა საქართველოს ერის გამოფხიზლება, კაცობრიობის წინაშე მისი ერთეულად, ძლევა მოსილად დაყენება.

ასეთი იყო ძველად საქართველო, ასეთივე უნდა იყოს იგი შემდეგშიაც. მაშასადამე ჩნდება კიდეც ნიადაგი საერთო მოქმედებისათვის. ამ ნიადაგის განმტკიცება, ჩვენი ღრმა რწმენით, მხოლოდ მომენტის საქმეა და ეს მომენტიც ახლაა!

ზათომის ოლქის უსამართლოდ აწიოკება-განადგურებამ, შიმშილობამ გურია სამეგრელოში და დაბეჩავებულმა მდგომარეობამ გლეხებისამ ქართლ-კახეთსა თუ საქართველოს სხვა კუთხეებში, ყველა ჩვენებური დასი და ჯგუფი ჩააფიქრა და ჯერ-ჯერობით „ქართული საქველმოქმედო საზოგადოება" დააარსებინა...

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამ „საზოგადოების" ჭერ ქვეშ თავს მოიყრის მთელი ქართველობა განურჩევლად მიმართულებისა და წოდებისა. ხოლო მათი მოქმედება კი გულს უპოვის დიდსა და პატარას.

აი რამდენიმე მუხლი ამ საზოგადოების წესდებისა:

„1) ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მიზანია ხელი შეუწყოს კავკასიის სანამესტნიკოში მცხოვრებ ქართველთა ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესობას. 2) ამ მიზნის მისაღწევათ საზოგადოება ავრცელებს მცხოვრებთა შორის, 1) მიწის-მოქმედებისა, გაჭრობა-მრეწველობისა და საამშენებლო საჭირო და სასარგებლო ცოდნას, 2) აწყობს დარიბ მცხოვრებთათვის ხელ მისაწდომ კრედიტს, 3) ეხმარება ხალხს სამუშაოს მოპოვებაში, 4) დახმარებას უწევს უბედურების დროს დაზარალებულთ მაგ. შიმშილობისა, ეპიდემიის, სეტყვის და წყალდიდობის დროს, 5) საჭი-

---

რომ დამნაშავე მართლა მე ვარ იმა საქმეში,
რაცა შესწამეთ უმანკოსა, დღეს პატიმარსა.
ერთჯერ შევცოდე, მხოლოდ ერთჯერ ჩემს სიცოცხლეში:
ჯაყელსა შალვას მე ვუბრძანე, მე გავაგზავნე!
ჩემის მიზეზით, დემნას, ძმასა ვითა მოვკლავდი?!
ვერ გავუძელი მომხდარიყო, ეგ ცოდვა დიდი,
მაშა დასაჯეთ თქვენი ქალი ურჩი და მავნე.
რადგან პირადად არ იყო დრო კაცისა ნახვის,
შალვასა სამხრე გავუგზავნე, დასაჯერებლად
ჩემის ნებისა, და მეგონა არად მეზრახვის.
ახლა ყოველი მოგახსენე დაუფარავად.
აწ თუ ღირსი ვარ, ეს სოფელი დამათმენინეთ.
ღვთის სამსახურათ, თმა გიშრისა დამაყრევინეთ.
დეე, ლაწვიცა ჩემნი დასჭკნენ, კომშისა ფერად!
გამზდელთა ჩემთა ხვედრი იქნეს მოთქმა სიმღერად.
მხოლოდ ისმინეთ თქვენი თამროს ერთი ვედრება:
ჩემის მიზეზით ჯაყელი კი ნუ დაისჯება.
არ უფიქრია მაგ უბედურს და დაღუპულსა.
რომ სამსახურზე უარი ეთქმის თქვენსა ასულსა,
ხელზე ამბორით, გვერდებ, კიდევ, მის შენდობასა.
თქვენი ნებისა მონა მორჩილი, ასული თამარი.

**მეფე.** (ცოტა ფიქრის შემდეგ)
გაგზავნე ჩქარა, გამრეკელო, მსწრაფლ შეაჩერონ
დასჯა ჯაყელის და ყმაწვილიც აქა მომგვარონ.

**გამრეკელი.** მე გეახლები თვითონ, მეფეო, რომ გარდავცე თქვენი წყალობა (გადის).

**მეფე.** წავიდით სარქის. (ამ დროს მოისმის ხმაურობა. შემოდიან შოთა მესხი და ზაქარია. ამათ შემოყვებიან მხედარნი და შემოყავთ შეკრული ყაითაძე. მეფე შეჩერდება.) ეს რაღა არის?

**ზაქარ.** ეს კაცი მეფევ, დარაჯთ შეიპყრეს.

**მეფე.** რათა?

**ზაქარ.** სახეს იფარავდა თურმე; ჯაშეს ხიდზე გუშაგთა უყივლეს, ხმა არ მოსცა და გაქცევა დააპირა.

**მესხი.** ეს სატევარი ხელში ქონდა ამოღებული
ქარქაში სადღაც დაკარგოდა და ზოსტერიცა;
თვითონ მახვილი სისხლით არის სულ შეღებილი!

**მეფე.** (მხარგრძელს).
როგორ ხდება ხოლმე სარქის, რომ მტერიცა, დაღოღავს ხოლმე ჩვენს ბანაკში (ჩააჩერდება ყაითაძეს) ეს ბიჭი თითქოს სადღაც მინახავს:

**მესხი.** დიახ, მეფეო, შინაურია: ჯავახსა ახლავს, (გამოჩნდება ჯავახი)

**მეფე.** (გადახედავს ჯავახიანს).
ჯავახსა ახლავს?.. და ჯავახი კი თითქო მას მალავს:

**ჯავახ.** ჩემო ხელმწიფევ!

**მეფე.** (მწყრალად). ჩუმად, თუ თავი გიღირს (ყაითაძეს.) სთქვი ბიჭო ერთი, რას ერჩოდი გაბრიელ ბერსა? (სიჩუმე-ყაითაძე ჯავახიანს შეხედავს) ნურასა ფიქრობ, მართალი სთქვი და ბევრსა შეგინდობ, და თუ არ იტყვი, ოოკი მზათ არი. (სიჩუმე.) გაჩუმებულ ხარ? გაათრიეთ: დილის ცისკარი არ მოესწროს, დაახჩეთ ჩქარა. (მიიწევენ გასაყვანად).

**ყაითაძე** (დაიჩოქებს) რა ვქნა ჩემო ხელმწიფევ! ყარიბი ვარ ვინმე, ოხერი და უპატრონო! ლუკმა პურს დავდევ მთელ სიცოცხლეში. შემიცოდეთ თქვენ ფერხთა მტვერს ვენაცვალები—დედის ერთა ვარ.. ის ვიღამ არჩინოს... შემიბრალეთ!

**მეფე.** შეგიბრალებ, ოღონდ სთქვი, ბერს რას ერჩოდი?

**ყაითაძე.** რა ვქნა, ხელმწიფეო: ბრძანება მქონდა.

**მეფე.** ვისგან ბრძანება? სთქვი, ნურავის ნუ გეშინია?

**ყაითაძე.** ჩემის მწყალობელის და პატრონისაგან.

**მეფე.** (მხედრებს) გაიყვანეთ. დარჩეს პატიმრად. (გაჰყავთ. ჯავახიანს) შენ რას აპირებ შავო სულო? შენი სასჯელი რა მოიფიქრო?

**ჯავახ.** შემიძულეთ: ვხედავ არ მაქვს საშველი.
რაც გარდამხდება, ბარემ მოვრჩე და გათავდება.
ხოლო განზასრვა ჩემი ესდენ.. არ გეკადრებათ.

**მეფე.** (ძლიერ აფთრად) არ მეკადრება? გაუპეთ თავი მაგ სატანის შვილს. წათსა და თოკს არ შევკადრებ!.. გაუპეთ თავი (მესხი და ზაქარია იშიშვლებენ ხმალს და მიახტებიან).

**ზაქარია.** იფარე თავი, თორემ მკვდარი ხარ. (ჯავახი იშიშვლებს ხმალს. ამის უმალ სოსლანმაც იშიშვლა მახვილი, მივარდება ზაქარიას და ხმალს აუკრავს)

**სოსლანი.** ამდენი ერთს რომ შესევიხართ, ეგ რაინდობა არ არის.

**ზაქარია.** (მესხს და სხვებსაც) მითავაზეთ მე.

**მეფე.** (სოსლანს) ჩამოდექ, დავით შენ ნუ ერევი! (ყველა უკუდგება. ბრძოლა დიდხანს გრძელდება, ბოლოს ჯავახიანი უგრძნობლათ დაეცემა ძირს).

ზაქარია თავის ხმალს მეფის წინ დადებს მიწაზე.

**მეფე.** (ზაქარიას) აღე ხმალი, ბრალი არა გაქვს. (ხმალს აიღებს. ამ დროს მოისმის ზარის რეკა. შემოდის გამრეკელი.)

**გამრეკ.** ხელმწიფეო, ვეღარ მიუსწარ! აღსრულდა განსჯა ჯაყელისა და ლოცვად დარეკეს. (მეფე მიიბრუნებს პირს აღმოსავლეთისაკენ, დაიჩოქებს დოცვად. ყველა მის მაგალითს ბაძავს.)

**მეფე.** მეუფეო ზეცათაო! მოგვიტოვენ შეცოდებანი ჩვენნი, რამეთუ ვართ ხორციელნი და არა უწყით რას ვშვრებით. (კიდევ ისმის რეკის ხმა.)

ფარდა.

უგ. თ. გ. შარვაშიძე.

რთების დროს აწესრიგებს სანიტარულ რაზმს, ან და გზავნის თავის რწმუნებულთ მთავრობის ნებართვით, 6) განსაკუთრებულ შემთხვევაში ფულით დახმარებას უწევს დაზარალებულთ და 7) აწყობს სამუშაო სახლებს, ქსენონებს და სხვა საქველმოქმედო დაწესებულებებს“.

ასეთი ფართო და მრავალ მხრივია დანიშნულება „ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებისა“ ⁊ სასურველია რომ ამ „საზოგადოების“ განყოფილება დაარსდეს საქართველოს ყველა თვალსაჩინო დაბა-ქალაქებში.

როგორც დანამდვილებით გავიგეთ ქუთაისის მოწინავე ინტელიგენცია განურჩევლათ მიმართულებისა, უკვე შესდგომია ზრუნვას განყოფილების დასაარსებლათ.

ვუსურვებთ გამარჯვებას და საერო, საერთო საქმისათვის დაუღალავ მოღვაწეობას!...

# ახალი ამბავი.

**17 აპრილს ქ. გორში გარდაიცვალა ნიკო ლომოური.**

**ჩვენი რედაქცია გულითად მწუხარებას აცხადებს ქართველ მწერლის ⁊ სახელოვან მამულიშვილის უდროოთ გარდაცვალების გამო.**

✦ კვირას, 19 აპრილს, დ. ახალ-სენაკში გაიმართა სალიტერატურო დილა. ხალხი სალამოს ბლომათ დაესწრო და ნასიამოვნები დარჩა.

✦ როგორც გავიგეთ, მომავალ სექტემბრიდან ქუთაისში უკვე გაიხსნება კომერციული სასწავლებელი. სასწავლებლის წესდების დამტკიცებას კომერციული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება მალე მოელის.

✦ შაბათს, 18 აპრილს, წყალტუბოს მინერალური წყალი დაათვალიერა განსაკუთრებულმა კომისიამ. კომისიამ წყალი მოიწონა. საავათმყოფოების აგებას მალე შეუდგებიან. ამ კომისიის წევრნი: ლეიბ-მედიკი რაევი, პროფესორი მიროტვორცევი და ხატისოვი კვირას ისევ თფილისს გაემგზავრენ.

ქუთაისის საგუბერნიო სასანიტარო კომისიამ განიხილა ქუთაისის ქალაქის სანიტარული კომისიის შუამდგომლობა შესახებ 77,080 მ. 17 კ. გადადებისა გადამდებ სენთან საბრძოლველ საავათმყოფოს ასაგებათ. ამისათვის წარდგენილი იყო გეგმა საავათმოფოისა და მთელი ხარჯთ-აღრიცხვა. რადგანაც საგუბერნიო კომისიამ შეუძლებლათ დაინახა ამდენი ფულის გაღება და შენობის აგებასაც ბევრი დრო მოუნდებაო, უმჯობესათ სცნო საჩქაროდ მოეწყოს ფარდულები 40—50 საწოლით. ასეთი ტიპის საავათმყოფოს ხარჯთაღრიცხვა და გეგმა უნდა შეადგინოს ქალაქის გამგეობამ.

✦ სასკოლო კომისიის კრებამ დაადგინა ქუთ. ქალაქის ყველა პირველ-დაწყებითი სასწავლებლებში გაიხსნას მეოთხე მოსამზადებელი განყოფილება.

✦ რუსეთის ქალაქებიდან ამ ჟამათ ქუთაისში სამოსულია რამდენიმე ვაჭარი, რომელნიც მოცვის ჩაის ყიდულობენ. ჩაის ისინი ფუთს 12 მანეთად ჰყიდულობენ, უწინ კი ეს ჩაი 3 მანეთად გადიოდა. ამბობენ ეს ჩაი რუსეთის ქალაქებში ფუთი 30 მანეთად იყიდებაო. საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს და აქაც შესაფერი ფასები დაწესდეს.

✦ სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირთან დაარსებულა კომიტეტი, რომელიც ეხმარება სერბიელებსა და ჩერნოგორიელებს. მთავარი კომიტეტი სთხოვს ქუთაისის ქალაქის გამგეობას აქაც მოაწყონ შეწირულების შეგროვების საქმე ხსენებულ კომიტეტის სასარგებლოთ.

✦ კვირას, 19 აპრილს, საკრებულო ტაძარში მწირველი იყო ყოვლად სამღვდელო გიორგი. წირვის შემდეგ პანაშვიდი იქნა გადახდილი ცნობილ ბელეტრისტის ნ. ლომოურის სულის მოსახსენებლად.

პანაშვიდის წინ მისმა მეუფებამ შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა განსვენებულის ნიკო ლომოურის მოღვაწეობის შესახებ, და დაახასიათა იგი, როგორც პედაგოგი და როგორც ბელეტრისტი. წირვასა და პანაშვიდს ხალხი ბლომათ დაესწრო.

✦ ქუთაისის ქალთა საზოგადოების გამგეობა სთხოვს წევრებს დაუყონებლივ შემოიტანონ წასულ 1914 წლის საწევრო ფული, რათა მოკლებულ არ იქნან ამ ახლო მომავალში საარჩევნო უფლებას.

✦ კვირას, ქალაქის თეატრში ალ. ყალაბეგიშვილის საბენეფისოთ წარმოადგინეს ისტორიული პიესა „და-ძმა“ წარმოდგენას ხალხი ბლომათ დაესწრო. უკანასკნელ მოქმედებაში ბ. ყალაბეგიშვილი საუცხოო იყო.

✦ 19 აპრილს, ოლქის სასამართლომ გაარჩია ილარიონ გვაძიას საქმე, რომელსაც ბრალდებოდა კაცის მოკვლა. სასამართლომ იგი დამნაშავეთ იცნო და 15 წლის კატორგა მიუსაჯა.

✦ 19 აპრილს, სალამოს 9 საათზე „ზაღვორნი“ ქუჩაზე წიქორიძის სახლის დერეფნიდან მდ. რიონში უცაბედათ გადავარდა ანტონ ცინცაძის ბავში. გვამი ჯერ ვერ უპოვნიათ.

**სასამართლოს მატიანე.**

17 აპრილს, ქუთაისის მომრიგებელმა მოსამართლემ გაარჩია საქმე ქ. ს. კოკოჩაშვილისა, რომელსაც ბრალი ედებოდა სასჯელთა დებულების 136 მუხლის ძალით, ე. ი. ცილისწამებისათვის.

საქმის გარემოება ასეთი იყო.

ბრალდებულის ქალიშვილი სწავლობს ადგილობრივ ქალთა წმ. ნინოს სახელობის სასწავლებელში. წლის დამლევს ალგებრაში დაუნიშნეს განმეორებითი გამოცდა მომავალ აგვისტოსთვის. ამის გამო დედა მისი ქ. ს. კოკოჩაშვილისა მისულა სასწავლებლის უფროსთან და უთქვამს, რომ მათემატიკის მასწავლებელი ბ. ა. ტიტოვი ხშირად გალოთებული და უწესრიგოთ დაიარება სკოლაში. მოწაფენი დასცინიან მას და ამიტომ მდარე ნიშნებს უწერსო

შეურაცხყოფილმა მასწავლებელმა ბ. ა. ტიტოვმა ამაზე საჩივარი შეიტანა. გამოწვეული იყო ექვსი მოწმე. ბრალდებულს იცავდენ ვექილები: ბ. ბ. გეგეჭკორი და ქიქოძე. მომრიგებელმა მოსამართლემ წინადადება მისცა საქმე შერიგებით გაეთავებინათ, რაზედაც ვერ დაითანხმა.

საქმის გამოძიებისა და მოწმეების ჩვენების შემდეგ მოსამართლემ გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც ქ. კოკოჩაშვილისას ორი კვირით ციხე გადაუწყვიტა.

საქმის გარჩევის შემდეგ ბ. ტიტოვმა გაუცხადა მოსამართლეს, რომ მისი სურვილი იყო საქმე გამორკვეულიყო და კოკოჩაშვილისა დამნაშავეთ ეცნო, თორემ მისი დასჯა საჭიროთ არ მიმაჩნია და მიპატიებიაო.

**საზოგადოების საყურადღებოთ.**

ვაუწყებთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ ჩვენ უკანასკნელ გამგეობის სხდომაზე უარვყავით ინიციატივა აკაკის ძეგლისათვის ფონდის შეკრება სხვადასხვა მიზეზის გამო... ამასთანავე მოუწოდებთ ყოველივე კულტურულ დაწესებულებათა წარმომადგენლებს ითავონ და დააარსონ სათანადო კომიტეტი, რომელშიაც შევა ყველა წრის წარმომადგენელი, რათა შემდეგ პასუხისმგებელი იყოს საზოგადოების წინაშე არა-ერთი რომელიმე „საზოგადოება“, არამედ ყველა კულტურული დაწესებულება და წრის წარმომადგენელნი.

ქუთაისის ქალთა საზოგადოების გამგეობა.

# ქუთაისის საზოგადოების საყურადღებოთ.

მკითხველებს მოეხსენება, რომ ეს ოთხი წელია, რაც წერა-კითხვის საზოგ. ქუთაისის განყოფილება თავის ნივთიერ საშუალებათა გასაძლიერებლათ, სახალხო სეირნობას მართავს ქალაქის ბაღში. სეირნობას ხელმძღვანელობენ გამგეობის განყოფილების ორი წევრი, სახელდობ ქალბ. მარიამ ვარდოსანიძის ასული და ქალბ. მელანია გველესიანისა. ქუთათური საზოგადოება მუდამ დიდის თანაგრძნობით ეკიდებოდა ამ ფრიად სიმპატიურ მიზანს. რაც დრო მიდიოდა, მით შემოსავალი მატულობდა ამ სეირნობებიდან. ყოველი შეგნებული წევრი ქართველი საზოგადოებისა ცდილობდა რაიმე წვლილი შეეტანა იმ სალაროში, რომელიც მაღალს, წმინდა ხალხურ საქმეს ემსახურებოდა, თუ საწევრო ფულის გარდახდით, თუ შემოწირულობათა მოტანით—ფულითა და ნივთით—და თუ თვით სეირნობაზე დასწრებით და ზნეობრივი თანაგრძნობის გამოცხადებით. ქუთაისში, ჩვენ ვგონებთ, ბევრი ოჯახი არ დარჩენილა, რომელსაც რაიმე მონაწილეობა არ მიეღოს წერა-კითხვის საზოგად. საქმეთა გასავითარებლათ. ეგზომ დიდია შეგნება და ზნეობრივი მოვალეობა საზოგადოებისა იმ დაწესებულებისადმი, რომელმაც ჩვენს კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა შორის, ჩვენდა საბედნიეროთ, უკვე კაი ხანია განსაკუთრებული ალაგი დაიჭირა.

დღევანდელმა ომმა, რომელმაც სხვებთან ერთად ჩვენი ეკონომიური ცხოვრების ვითარებაც შესცვალა, რომელმაც მრავალნაირი კერძო თუ საზოგადოებრივი ხასიათის ხარჯები გამოიწვია, ჩვენი წერა-კითხვის საზოგად. მდგომარეობასაც თავისი დაღი დაასო—შემცირდა მისი ჩვეულებრივი შემოსავალი. მეორეს მხრით ძლიერ იმატა ისეთმა მოთხოვნილებამ, რომელიც სწორედ ამ ომის დროის შედეგია. ღვთის ანაბარად მიტოვებულნი სოფლები, ხშირად მიყრუებულ კუთხეებიდანაც კი, როგორც მაგალითად, ზემო რაჭაა, დიდის მუდარით გვთხოვენ სამკითხველოების დაარსებას. მაგრამ, უსახსრობისა გამო, ხშირად იძულებული ვართ შევზღუდოთ ჩვენი მოქმედება.

მოქალაქენო! მივმართავთ თქვენს შეგნებასა და საზოგადოებრივ მოვალეობას! მოგვეცით საშუალება დღევანდელ ძნელ მდგომარეობიდან ოდნავ მაინც დავაღწიოთ თავი და მცირეოდენი შეგნება შევიტანოთ ხალხში თქვენის თანაგრძნობითა და დახმარებით! გახსოვდესთ, რომ პატარა თქვენი წვლილიც ბევრს საქმეს იზამს, ოღონდაც ყველამ მიიღოს შეძლებისამებრ მონაწილეობა, ვისაც როგორ ეხერხებოდეს: ფულისა, თუ ნივთების შეწირულობით, შრომითა, თუ სხვაფერ.

როგორც ყოველთვის, ისე დღეს, როდესაც კარზე მეტი გაჭირვება გვადგია, მოველით თქვენგან დიდს თანაგრძნობასა და გულუხვობას. საერთო ძალებით ბევრს ახალს, დიდსა და პატარა საქმეებს გავიჩენთ, ხოლო გულგრილობით, განზე დგომით ვერაფერს და იმასაც დავკარგავთ, რაც გაგვაჩნია. ყოველგვარი შეწირულობა მიიღება მელანია გველესიანისას მის საკუთარ ბინაზე (კაზაკოვის ქუჩა).

**წერა-კითხვის საზოგადოების ქუთაისის განყოფილების გამგეობა.**

# † ნიკო ლომოური.

(ნეკროლოგი).

სამწუხარო ამბავი მოვიდა გუშინ გორიდან. ხან-მოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა იქ ჩვენი დამსახურებული მწერალი ნიკო ლომოური.

ნიკო ლომოური ღვიძლი შვილი იყო იმ თაობისა, რომელმაც დაიწყო მოღვაწეობა სამოციან წლებში და შექმნა ახალი ხანა ჩვენის მწერლობისა და საზოგადო ცხოვრებისა. განსვენებული ახალგაზდობაშივე ამოუდგა გვერდში მაშინდელ ბუმბერაზებს და მთელის თავის ძალღონით და ნიჭით ემსახურებოდა ჩვენის ქვეყნის გამოფხიზლებისა და აღორძინების საქმეს...

განსვენებული შიგ შუაგულ ქართლში იყო დაბადებული, სოფ. არბოს. იქ გაევლო მისმა ყმაწვილობამ. იქვე ატარებდა შემდეგ ზაფხულობით თავისუფალს დროს და შეძლება ჰქონდა სავსებით გაეცნო და შეეთვისებინა ყოფა-ცხოვრება მდაბიო ხალხისა, ჩვენის გლეხკაცობისა, მისი ზეპირი პოეზია, სავსე მხატვრობითა და ენა მჭევრობითა.

კიდეც ამიტომ ატოკდა მისი გული ახალგაზდობაშივე, ჯერ როცა ისევ მოწაფე იყო სემინარიის უფროს კლასებისა და დაიწყო წერა ლექსებისა და პოემებისაც კი, პირველი მისი ლექსები ჟურნალ „მნათობში“ დაიბეჭდა 1870—72 წ.წ. იქვე დაიბეჭდა მისი პოემა „იულონ ბატონიშვილი“, მაგრამ შემდეგ განსვენებულმა ლექსების წერას თითქმის სულ მიანება თავი და შეუდგა პატარა მოთხრობათა წერას. მაშინ ნიკო უკვე უმაღლეს სწავლა-დამთავრებული იყო კიევის სასულიერო აკადემიაში და ინსპექტორობა ჰქონდა ჩაბარებული ახლად დაარსებულის სათავად-აზნაურო გიმნაზიის მოსამზადებელის კლასებისა. პირველი ამნაირი მოთხრობა, რომელმაც მიიქცია ყურადღება საზოგადოებისა თვისის მხატვრულის ღირსებით და უებრო წმინდა ქართულით, იყო მოთხრობა „ალი“. ამას მოჰყვა მეორე „პატარა კაჯანა“, რომელიც პირველს არ დაუვარდება ღირსებით. „პატარა კაჯანა“-ს ალტაცებით მიეგება მაშინდელი ჟურნალ-გაზეთობა და მართლაც ნამდვილი შედევრი იყო სიტყვა-კაზმულის მწერლობისა და დღემდე საუკეთესო საკითხავი მოთხრობაა, როგორც მოსწავლეთათვის, ისე ფართო საზოგადოებისათვის.

განსვენებულის კალამსავე ეკუთვნის ეტიუდები: „ბედი უბედურია“, „გიგო ღრუბელაშვილი“, „ყოველის მხრიდან“, „წინაპართა აჩრდილნი“ და არა მცირედი რიცხვი საგაზეთო და საჟურნალო წერილებისა, რომელთა შორის დიდს ყურადღებას იქცევდა ხოლმე „შენიშვნები პროვინციიდან“. ეს წერილები შეეხებოდა ქართლის ცხოვრებას, გორის ცხოვრების ავ-კარგს და საკუთრად გორს, საცა გაატარა განსვენებულმა უკანასკნელი დრო თვისის ცხოვრებისა და საცა ქართული ენის მასწავლებლად იყო განწესებული ამიერ-კავკასიის საოსტატო სემინარიაში.

განსაკუთრებული და ნიშნობლივი თვისება განსვენებულის სალიტერატურო და საზოგადო მოღვაწეობისა ის იყო, რომ ღრმად უყვარდა თავისი სამშობლო ქვეყანა, მოწიწებით ეპყრობოდა ჩვენს გამოჩენილ მოღვაწეებს; სწერდა, მართალია, ცოტას, მაგრამ რასაც სწერდა, სწერდა დიდის გულთბილობით, ცხოვლად, მხატვრულად, საოცარის ტკბილის ქართულით, რომელიც ღრმად სწვდებოდა გულში ქართველ კაცს. განსვენებული ხშირად იღებდა მონაწილეობას, როცა გაიმართებოდა რაიმე სალიტერატურო დღესასწაული, გლოვა, მეჯლიში. ჯერ სამი კვირაც არ გასულა, რაც თვისი მოგონება გაგვიზიარა დიდის პოეტის აკაკის ორმოცის მოსახსენებლად გამართულს დილაზე და, დახეთ ბედის სიმუხთლეს, რომ მის უკან ჯერ ისევ მხნე, გონებრივის ძალ-ღონით სავსე, სიმპატიური მწერალი ბელეტრისტი, დინჯი, დარბაისელი, დიდი ოსტატი ქართულისა, სამოც წელს ძლივს გადაცილებული კაცი ულმობელმა სიკვდილმა კი თითქმის უცებ, უდროოდ ხელიდან გამოგვაცალა.

საუკუნოდ იქნება ხსენება შენი, ნიჭიერო მხატვარო ჩვენის ცხოვრებისა, გულწრფელო ქურუმო ჩვენის მწერლობისა, დიდო ოსტატო ტკბილის ქართულისა!

„ს. ფ.“

გრ. ყიფშიძე.

მიხედეთ გიორგი სვანიძის ობლებს!

აგერ ერთი თვეა, რაც არქიერის გორაზე, სატუსაღოში, „სიპნოი ტიფით“ გარდაიცვალა გლეხი გ. სვანიძე. ამის გამო მთავრობამ ქუჩაში ამ ადგილას დააყენა დარაჯები, რათა მგზავრები გარდაცვალებულის სახლთან არ გაეშვათ და ამ მიზეზით შავი ჭირი არ შეყროდათ. მაგრამ საუბედუროთ, მთავრობამ სრულიად უყურადღებოთ დატოვა გ. სვანიძის უსახსროთ და ულუკმაპუროთ დარჩენილი ქვრივი და ექვსი წვრილი ბავში. ისედაც გალატაკებულს, ტიტველ-მშიერ-მწყურვალ ობლებს, ახლა მეხივით დაეცა ეს უბედურობა და მათი, ავათ თუ კარგად მარჩენალი მამა, შავმა ჭირმა მოულოდნელათ ხელიდან გამოსტაცა. გარდაცვალებულის დასაფლავება ჩვენი ხარჯით მისმა მეზობლებმა ვიკისრეთ. ახლა ნახევარ ვერის სიმორეზე მოისმის გ. სვანიძის ობლების ტირილი. ისინი დამწყვდეულნი მშიერ მხეცივით ღრიალებენ [illegible] ბენ იქაურობას: „[illegible]“ უგზავნიდით მისი ახლო მეზობლები ხან პურს, ხან ფქვილს და ხან გამომცხვარ მჭადს, მაგრამ მთელი ოჯახის შენახვა იქაურ ღარიბ მეზობლებისთვის ამ შიმშილობისა და სიძვირის დროს შეუძლებელი შეიქნა.—„შვილო, რა ვქნა, რაო“?—ეუბნებოდა ტირილით გამწარებული დედა შიმშილით გამხეცებულ ბავშვებს და რადგან მთავრობისაგან აკრძალული აქვთ გარეთ გამოსვლა, იქიდან მოუწოდებს საზოგადოებას გაჭირვებულ მდგომარეობიდან ხსნას და დახმარებას.

მივმართავ საზოგადოებას: მიხედეთ და განიკითხეთ ტიტველ-მშიერ-მწყურვალი, უკიდურეს მდგომარეობაში მყოფნი, უგზო უკვლოთ დარჩენილი ობლები გლეხ გ. სვანიძისა.

იროდიონ ხანთაძე.

**წერილები რედაქციის მიმართ.**

**ბ-ნო რედაქტორო!**

უმორჩილესად გთხოვთ თქვენი პატივცემული გაზეთის უმახლობელს ნუმერში ადგილი დაუთმოთ შემდეგს:

თქვენი გაზეთის „სამშობლო“-ს 53-ე №-ში მოთავსებულია წერილი ბ. იაგორ ალექსის-ძის ჰელიძის, რომელიც მიწვევს სამედიატორო სამართალში. ვერ გამიგია თუ რა ქონდა ბ. გ. დოლიძეს აქ სავექილო!! ან რამდენი ხანია კისრულობს ბ. ი. ჰელიძე ვექილობის როლის შესრულებას?!!

მიუხედავათ ამისა, მე მაინცა და მაინც საწინააღმდეგო არა მაქვს რა და ჩემის მხრიდანაც ვასახელებ მედიატორებათ ბ. ბ. კირილე ალექსის ძე გიორგაძეს და ესე ბაგრატის ძე მგელაძეს. ვსთხოვ ბ. ბ. მედიატორებს ეს საქმე გაირჩეს ღია კარებში საზოგადოების თანადასწრებით განურჩევლად სქესისა, ეროვნებისა და წოდებისა.

მანახე ერ. ჰელიძე.

**პასუხი ბ. ლადო ბზვანელს.**

სრულიად თანახმა ვარ თქვენი წინადადების, რადგანაც მე თვითონ ჩემი თავი თქვენგან შეურაცხყოფილად მიმაჩნია. ჩვენი ვინაობის გამომჟღავნება ჯერ-ჯერობით არავისთვის საინტერესო არ არის. შემდეგში ვინც გამტყუნდეს, იმის სახელი და გვარი იქნეს გამოცხადებული პრესის საშვალებით. თუ ასე არ გნებავთ, ჯერ თქვენ თვითონ აიხადეთ ნიღაბი და თქვენი სახე დაგვანახეთ და მერე მეც მოგახსენებთ ჩემს ვინაობას. მაშ ინებეთ და დაასახელეთ თქვენი მედიატორები და მერე მეც დავასახელებ.

დე—ზი.

რედ.-გამომც. ი. თ. ცინცაძე.

**თ. ა. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიის საკუთარი გამოცემანი.**

1) ნ. ნიკოლაძე. მამულის სიყვარული და მსახურება. . 20 კაპ.
2) დ. კარიჭაშვილი. ხუცური ანბანი, მეორე გამოც. . 20 კაპ.
3) მღ. პ. ცქიტიშვილი. ლოცვანი, პირველდაწყებითი სკოლებისათვის ფ. 10 კ., ყდით . . 15 კაპ.
4) ქართ. მოძრავი ანბ. ქაღ. 10 კაპ.
„იგივე, კარდონზე გაკრული 25 კაპ.
„იგივე ორ და სამ-კომპლექ. 50 კაპ.
5) ს. ყიფიანი, შაქარას ნაამბ. 3 კაპ.
6) Архим. Несторъ. Учебникъ Закона божія . . 20 კ.
7) ს. გორგაძე. საქართვ. ისტორია ნ. I ისტორიული ქარტით., მეორე გამოცემა . , . 35 კაპ.
8 ალ. გარსევანიშვილის თხზულება: „Поэтъ Грузіи Акакій“ 10 კ.
9) კ. მაჭავარიანი: „Цѣлебные минеральные источники“ въ Кутаисск. губ.—ფ. 20 კ.

**აქვე იმყოფება საწყობი შემდეგი წიგნებისა.**

1) გუთანი, ოჯახსა და სკოლებში საკით. წიგ. შედ. ი. ოცხელისა. თ. მთავრიშვილისა და ს. ყიფ. მიერ, სურ., მესამე გამ., ყდით 85 კ.
2) ს. ხუნდაძე. ქარ. გრამატიკა პირველდაწყ. შკოლებ. ყდით · 20 კ.
3) ს. რობაქიძე. სამშობლოს აღწერა, საქართ. გეოგრაფიის სახელმძღვანელო, ყდით . 50 კ.
4) არქ. ნესტორი (ყუბანეიშვილი) პირველდაწყებ. დარიგება სალვთო სჯულის სწავლებაზე . 30 კ.
5) ა. ხახანაშვილი. ბატონ-ყმობა საქართველოში . 50 კ.
6) კ. აბაშიძე. ეტიუდები მე XIX ს. ქ. ლიტერატურა შესახებ ტ. I. 70 კ.
7) მისივე. იგივე ტ. II.. 70 კ.
8) ი. შექსპირი. ოტელო, ჰამლეტი და მეფე ციმბელინი ყრმათათვის ნათარგმნი ს. ყიფიანისა . 20 კ.
9) მღ. ა. გერსამია. ლოცვანი, ფ. 10 კ., . . 15 კ.
10) ა. ჰიჰინაძე. პირველდაწყ. ცოდნა გეოგრაფიისა ფ. 50 კ., ყ. 60 კ.
11) ნ. ნიკ ჩემ პოლიტიკაზე 10 კ.
12) ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. 2 ტ.—3 მ.

**რუსული ⁊ ქართული კატალოგები მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.**

გამოვიდა და იყიდება

ქუთაისის ყველა წიგნის მაღაზიაში

თხზულებანი ჯაჯუ ჯორჯიკიასი.

ფასი 60 კაპ. წ.